

ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის ოქმი №2

2019 წლის 9 ივლისი

ხაშური

სხდომის თავმჯდომარე გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: ზურაბ ჩხიტუნძე, ანა ხარებავა, რიტა ქურდაძე, ირინე გელაშვილი, ირინე გოცირიძე, მარიამ ქათამაძე, ნინო სუხიაშვილი, თეა ჯაფარაშვილი თამარ ჯავახიშვილი, მთვარისა ძინძიბაძე.

დღის წესრიგი

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შესახებ.
2. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით სპორტის განვითარებაზე დახარჯული ბიუჯეტის ანალიზი.

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ ჯანაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს შემადგენლობაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ მერის თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ჩხიტუნძე ამჟამად არის საკრებულოს აპარატის უფროსი და შესაბამისად შეიცვალა მისი სტატუსი, მერიიდან საბჭოს შემადგენლობაში წარმოდგენილია მთვარისა ძინძიბაძის კანდიდატურა.

- სხდომამ აღნიშნული ინფორმაცია მიიღო ცნობად.

2. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით სპორტის განვითარებაზე დახარჯული ბიუჯეტის ანალიზი.

ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე წარმოადგინა მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის სპორტის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ლომიძემ.

აღნიშნა, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია ითვალისწინებს რა საქართველოს სახელმწიფო პრიორიტეტებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მუნიციპალიტეტის ფარგლებში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, ფიზიკურ აღზრდა-განათლებას და სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებას და ახალგაზრდების დაინტერესებას სპორტის ამა თუ იმ სახეობით. მოსწავლეთა ჩართულობას და მასობრიობას სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში. პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენას და მათ მომზადებას ეროვნული ნაკრებებისათვის. აქედა გამომდინარე მერიის ხელშეწყობით ხაშურში ფუნქციონირებს ააიპ ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა სადაც მეცადინეობები მიდის სპორტის 12 სახეობაში: ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი, ჭიდაობა ძიუდო, სამბო, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ძალოსნობა, ბატუტზე ხტომა, ჩოგბურთი და ჭადრაკი. სასპორტო სკოლაში

ირიცხება 1300 მოსწავლე: მათ შორის ფეხბურთში 489, კალათბურთში 108, რაგბი 175, ჭიდაობები 377, ძალოსნობა 37, ჭადრაკი 64, ბატუტი 37 და ჩოგბურთი 13. მეცადინეობები მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქში ასევე სოფლებში.

2019 წელს სპორტულ ღონისძიებათა უზრუნველყოფისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოყო 237 800 ლარი, რომელიც ხმარდება როგორც ადგილობრივ ასევე გასვლით ჩემპიონატებში მონაწილე სპორტსმენებს, გამარჯვებული სპორტსმენების დაჯილდოებას, წარმატებული მწვრთნელ-მასწავლებლების წახალისებას, სპორტული ინვენტარის შეძენას და სხვა.

ხაშურის სასპორტო სკოლის აღსაზრდელები აქტიურად არიან ჩართულნი როგორც ადგილობრივ ასევე რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო დონის ჩემპიონატებში. ზოგი მათგანი ირიცხება საქართველოს ნაკრებ გუნდებში.

მიმდინარე წელს უკვე გვყავს სპორტის არაერთ სახეობაში ჩემპიონები და პრიზიორები რომელთაც უკვე გადაეცათ 10 096 ლარი:

1. ჭიდაობა ძიუდო მაისურაძე ლუკა - საქართველოს ჩემპიონი
2. ჭიდაობა სამზო მეხრიშვილი გიორგი - საქართველოს ჩემპიონი
3. ქართული ჭიდაობა ტაბატაძე პაატა - საქართველოს ჩემპიონი
4. ძალოსნობა ხარაზიშვილი გიორგი - საქართველოს ჩემპიონი 17 წლამდელებში
5. ძალოსნობა ხარაზიშვილი გიორგი - საქართველოს ჩემპიონი 20 წლამდელებში
6. ძალოსნობა ტაბატაძე თორნიკე - საქართველოს ჩემპიონი 20 წლამდელებში
7. რაგბი გოგიჩაიშვილი გურამი - ევროპის ჩემპიონატის I ადგილის მფლობელი
8. ჭიდაობა სამზო მეხრიშვილი გიორგი - კვიპროსში ქ.ლიმასოში გამართულ ჩემპიონატზე მოიპოვა III ადგილი
9. ჭიდაობა ძიუდო მაისურაძე ლუკა ანტალიის გრანპრის ჩემპიონი - I ადგილი
10. ჭიდაობა ძიუდო მაისურაძე ლუკა ეკატერინბურგის გრანსლემის პრიზიორი III ადგილი
11. ჭიდაობა ძიუდო მაისურაძე ლუკა მინსკში ევროპულ თამაშებზე III ადგილი.
12. ქართული ჭიდაობა მეხრიშვილი გიორგი - საქართველოს ჩემპიონი
13. ქართული ჭიდაობა ხაჩიძე ზურაბი - საქართველოს ჩემპიონი
14. ქართული ჭიდაობა მეტივიშვილი ვახტანგი - საქართველოს ჩემპიონი

გარდა პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებისა განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს და მონაწილეობს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნულ ფედერაციის მიერ დაგეგმილ პროექტებში. აქტიურად ვიყავით ჩართული „სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში“, რომელშიც მონაწილეობდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა სკოლის მოსწავლეები. პროექტში „სპორტი ბარიერების გარეშე“. საფეხბურთო პროექტი „მოყვარულთა თასი -2019“, რომელშიც მონაწილეობენ სასპორტო სკოლის აღზრდილები , რომელთაგან ადგილობრივ ტურნირში გამარჯვებული გუნდი „დურუ“ ამ ეტაპზე ღებულობს მონაწილეობას რეგიონალურ ტურნირში და გამარჯვების შემთხვევაში იბრძობებს სამოყვარულო ჩემპიონატში საქართველოს პირველობისათვის.

აზრი გამოთქვას: ირინე გელაშვილმა, ანა ხარებავამ, ხათუნა ჩიტაძემ, ზურაბ ჩხიტუნძემ,

მიხეილ ჯანაშვილმა.

სხდომამ გადაწყვიტა : წარმოდგენილი ინფორმაცია მიღებული იქნას ცნობად.

- გენდერული თანასწორობის საჭოს თავმჯდომარის მიხეილ ჯანაშვილის ინიციატივით საბჭოს წევრებმა გამოთქვეს მზაობა ხაშურის მუნიციპალიტეტში საზღვრისპირა სოფელ ჩორჩანაში მცხოვრებ მოსახლეობასთან შეხვედრისათვის. რათა მოხდეს მათი პრობლემების

გაცნობა, და მათ მიერ გამოთქმული წინადადებები ანალიზის საფუძველზე აისახოს მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე და სამართლებრივ აქტებში.
- გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრის ხათუნა ჩიტაძის მიერ წამოყენებული იქნა ინიციატივა, რომ მ.წლის ოქტომბერში ხაშურის შოთა რუსთაველის N9 საჯარო სკოლაში ჩატარდეს თემატური შეხვედრები და ტრენინგები სკოლის მოსწავლეებთან ქალთა უფლებებისა და ოჯახური ძალადობის პრევენციის შესახებ არსებული კანონმდებლობის გასაცნობად.

საკითხების ამოწურვის გამო სხდომა დამთავრებული იქნა.

სხდომის თავმჯდომარე  მიხეილ ჯანაშვილი